საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
MINISTRY OF ENVIRONMENT PROTECTION AND AGRICULTURE OF GEORGIA

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო
LEPL NATIONAL ENVIRONMENTAL AGENCY

0112, საქართველო, თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 150
150 D. Agmashenebeli ave. 0112, Tbilisi, Georgia

TEL: +995 32 2439503 FAX: +995 32 2439502
E-mail: info@nea.gov.ge Web: www.nea.gov.ge

N 21/6479
28/10/2022

6479-21-2-202210281741

შპს „მანგანეზ ინდასთრის“
მის: ქ. თბილისი, იოანე პეტრიწის ქუჩა N17ა, ბინა 14
ელ. ფოსტა: g.gtmgroup@mail.ru

სსიპ გარემოს ეროვნულმა სააგენტომ განიხილა თქვენ მიერ 2022 წლის 13 ოქტომბერს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით წარმოდგენილი N5608 განცხადება, რომელიც ეხება თერჯოლის მუნიციპალიტეტში, სოფ. კვახჭირში ფეროშენადნობების საწარმოს მოწყობასა და ექსპლუატაციას. გაცნობებთ, რომ გზშ-ის ანგარიშში დაზუსტებას და კორექტირებას საჭიროებს საქმიანობასთან დაკავშირებული შემდეგი საკითხები:

- გზშ-ის ანგარიშზე თანდართულ ზდჩ-ის დოკუმენტში არსებული ინფორმაციით საწარმოს ტერიტორიაზე სანიაღვრე წყლების დაბინძურების წყაროები წარმოდგენილი არ იქნება, ამავე დროს სანიაღვრე წყლების მდ. რიონში ჩაშვებისთვის დადგენილია ზდჩ ნორმები. აღნიშნული ჩანაწერი საჭიროებს დაზუსტებას;
- გზშ-ის ანგარიშზე თანდართულ ზდჩ-ის დოკუმენტში არ არის მოცემული რა გაანგარიშებით იქნა მიღებული სანიაღვრე ჩამდინარე წყლების საათური ხარჯი (28 $მ^3$ /სთ);
- გზშ-ის ანგარიშს დართულ, სამინისტროს 2022 წლის 4 აპრილის N16 სკოპინგის დასკვნით მოთხოვნილი საკითხების ცხრილში საკითხზე, რომელიც ეხება საწარმოს ტერიტორიაზე ქვესადგურის მოწყობასთან დაკავშირებული ინფორმაციის წარმოდგენას (გვ. 276), მითითებულია 4.2.3 ქვეთავი და აღნიშნულია რომ საწარმოს ტერიტორიაზე ქვესადგურის მოწყობა დაგეგმილი არ არის და საწარმოო შენობის მიმდებარედ დამონტაჟდება 1 ცალი 25 მვა სიმძლავრის ტრანსფორმატორი. თუმცა გზშ-ის ანგარიშის 4.2.3 ქვეთავში მოცემული ინფორმაციის თანახმად, ტერიტორიაზე დაგეგმილია 1 ცალი 35 მვა სიმძლავრის ტრანსფორმატორის მოწყობა. შესაბამისად, დაზუსტებას საჭიროებს ინფორმაცია საწარმოს ტერიტორიაზე განსათავსებელი ტრანსფორმატორის სიმძლავრის შესახებ;

- სკოპინგის დასკვნით მოთხოვნილ საკითხზე, რომელიც ეხება ადგილობრივ მოსახლეობასთან კომუნიკაციას, მათი ინფორმირების, პოზიციების, დამოკიდებულების და აზრის გათვალისწინებას, გზშ-ის ანგარიშში მითითებულია, რომ „ადგილობრივ მოსახლეობასთან ჩატარებული შეხვედრების დროს პროექტთან დაკავშირებით საწინააღმდეგო მოსაზრებები არ ყოფილა“ (გვ. 279), თუმცა 2022 წლის 4 აპრილის N16 სკოპინგის დასკვნის მიხედვით, „საჯარო განხილვისას, სოფელ კვახჭირის ერთ-ერთმა მაცხოვრებელმა, პროექტის ფარგლებში მოსალოდნელი ზემოქმედების, მათ შორის ადამიანის ჯანმრთელობაზე შესაძლო ზემოქმედების გათვალისწინებით, მკაფიოდ დააფიქსირა საკუთარი პოზიცია დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების წინააღმდეგ“. გზშ-ის ანგარიშში სრულყოფილად უნდა იყოს წარმოდგენილი პროექტთან დაკავშირებით ადგილობრივი მოსახლეობის ინფორმირების, მათი პოზიციების, დამოკიდებულების და აზრის გათვალისწინების, ასევე შეთანხმების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ამსახველი ინფორმაცია;
- გზშ-ის ანგარიშის ცხრილში 2.1.1 წარმოდგენილია საქართველოს გარემოსდაცვითი კანონების ნუსხა, აღნიშნულ ცხრილში მითითებული სარეგისტრაციო კოდი 410.000.000.05.001.000.186 არ წარმოადგენს „გარემოს დაცვის შესახებ” საქართველოს კანონს და საჭიროებს კორექტირებას;
- ზღვრულად დასაშვები ჩაშვების ნორმების პროექტში მოცემული ჩანაწერი „ჰესის ექსპლუატაციისას წარმოიქმნება მხოლოდ სამეურნეო-ფეკალური ჩამდინარე წყლები” საჭიროებს კორექტირებას;

სააგენტო კანონმდებლობის შესაბამისად, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით, ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს ზემოაღნიშნული შენიშვნების გათვალისწინებით, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით“ განსაზღვრული სრულყოფილი დოკუმენტაციის სააგენტოში წარმოდგენის შემდეგ.

თამარ ფიცხელაური

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო